



## მესამე სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 13 ივლისი, 2015

დრო: 15:00 – 17:30

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ნარმანია - ქ. თბილისის მერი
2. ირაკლი ლეჟინაძე - ქ. თბილისის მერის მოადგილე
3. ოთარ ნემსაძე - ქ. თბილისის მერიის სსიპ -ის „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“ უფროსის პირველი მოადგილე
4. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
5. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
6. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
7. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
9. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
10. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

11. ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურს-ცენტრი
12. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
13. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
14. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
15. რევაზ ბურჭულაძე - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
16. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო
17. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
18. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
19. ეკა ლალიაშვილი - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
20. მარიამ შოთაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
21. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
22. ბაჩანა ხაჩიძე - გერმანიის ფედერალური სამინისტროს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საზოგადოება
23. ნანა სანებლიძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი
24. ივანე ხარაშვილი - ასოციაცია „თანხმობა“
25. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
26. ანა მიქაძე-ჩიკაიძე - საქართველოს ყველის მწარმოებელთა გილდია
27. მაკა გიგაური - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო

### განსახილველი საკითხები:

- ✓ ქ. თბილისის 13 ივნისის სტიქიის შედეგად განვითარებული მოვლენების ზოგადი მიმოხილვა - მომხსენებელი ქ. თბილისის მერი, დავით ნარმანია
- ✓ სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული საკითხები და ამ კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები - პრეზენტატორი ქ. თბილისის მერის მოადგილე, ირაკლი ლექვიჩინაძე

- ✓ თბილისის მდგრადი განვითარების პერსპექტივები - მომხსენებელი ქ. თბილისის მერიის სსიპ - „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“ უფროსის პირველი მოადგილე, ოთარ ნემსაძე

შეხვედრა გახსნა მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქ. თბილისის მერსა და მის მოადგილეს შეხვედრაში მონაწილეობისთვის და დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა სტიქიის ტრაგიკულ შედეგებზე და ითხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ გარდაცვლილთა ხსოვნისთვის. განვითარებული მოვლენების მნიშვნელობაზე საუბრის შემდეგ კოორდინატორმა სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მერს ბ.ნ დავით ნარმანიას.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ თავადაც გახლდათ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი და იცის, თუ რა დიდი როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას ქვეყნის ევროინტეგრაციული კურსის განვითარებაში. მან გაიხსენა 1960 წლის მდინარე ვერეს სტიქიაც, თუმცა აღნიშნა, რომ არ ყოფილა ამ მასშტაბების, რადგან მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ იყო მხოლოდ წყალდიდობა, ამ უკანასკნელ შემთხვევას კი მოჰყვა მეწყერიც, რამაც გამოიწვია სავალალო შედეგები.

მერმა აღნიშნა, რომ რეაგირება ძალიან სწრაფად მოხდა და მათ ძირითადად სამი მიმართულებით წარმართეს მუშაობა: 1) მოსახლეობის მხარდაჭერა: დაბინავება; კვება; პირველადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოფა; მათთვის ზარალის ანაზღაურების წესის შემუშავება და გაცნობა. 2) სტიქიის ტერიტორიის მაქსიმალურად მოკლე დროში გაწმენდა 3) დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ფაქტობრივად იმავე დღესვე დაიწყო და განიხილება, როგორც მოკლევადიანი სამუშაოები, რომლებიც 15 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს, რათა ქალაქის სრულად დატვირთვის შემთხვევაში, თავიდან იქნეს აცილებული სატრანსპორტო კოლაფსი. როგორც მერმა განაცხადა სატრანსპორტო ნაკადებთან დაკავშირებით კვლევა დაუკვეთეს კომპანია „სისტრას“, რომელსაც მსგავს საკითხებში მუშაობის გამოცდილება აქვს.

მერმა ასევე ისაუბრა, მსგავსი სტიქიის შემთხვევაში, ზარალის მაქსიმალურად აცილებისთვის მერიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე, რომლებიც უკვე დაწყებულია. მათ შორის, იმ მონაკვეთში, სადაც გასკდა გვირაბი მიმდინარეობს მდინარე ვერეს გამოთავისუფლება სახიდე გადასასვლელის მშენებლობით. ამასთანავე, პრევენციისთვის გათვალისწინებულია ადრეული შეტყობინების

სისტემის შექმნა, რომლის მოწოდებაზეც კონტრაქტი მერიის შესყიდვების სამსახურმა უკვე გააფორმა.

მერმა ასევე განიხილა გრძელვადიან პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მდინარე ვერეს ხეობის უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული სამუშაოები, თუმცა აქვე დასძინა, რომ კონკრეტული ვექტორი, თუ რა მიმართულებით წავა მუშაობა ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

შეხვედრის მიმდინარეობისას, ქ. თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვიანამ წარადგინა პრეზენტაცია, სადაც ციფრებში იყო გამოსახული სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი. მან პლატფორმის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის შემოწირულობების ოდენობის შესახებ. ლექვიანამ ასევე ისაუბრა იმ წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, დაზარალებული მოსახლეობისთვის, უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე მოხსენებით წარსდგა ქ. თბილისის მერიის სსიპ-ის „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“ უფროსის პირველი მოადგილე, ოთარ ნემსაძე. ბატონმა ოთარმა ისაუბრა ქალაქის დაგეგმარების საკითხებსა და მიმდინარე პროექტებზე. მათ შორის აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, რათა მოახდინოს იმ კონტურის დადგენა, რომელიც არის სტიქიური რისკის ზონა. სამსახური ასევე მუშაობს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე. კონურსი ამ საკითხზე უკვე გამოცხადებულია და სექტემბერში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს ქალაქის დაგეგმარებაზე მუშაობას და სავარაუდოდ წელიწადნახევარში, ახალი გეგმა მომზადდება. მან ასევე ისაუბრა მშენებლობების ნებართვის გაცემის შესახებ და აღნიშნა, რომ იმ ზონებში, სადაც რისკფაქტორი მაღალია არ ხდება ნებართვის გაცემა.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ ბატონმა ლაშა ტულუშმა განიხილა ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაბინძურების საკითხები. ისაუბრა სტიქიის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებზე. მან საქართველოს ეროვნული პლატფორმის სახელით გამოთქვა მზაობა აქტიურად ითანამშრომლოს ქალაქ თბილისის მერიასთან.

შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. პლატფორმის წევრების მხრიდან შეკითხვები ეხებოდა, როგორც სტიქიის მიზეზებსა და შედეგებს, ასევე ქალაქის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. მათ შორის, პარკირების, მუნიციპალური ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ქალაქის დაგეგმარების საკითხებს.

მოწვეულმა სტუმრებმა ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა შესთავაზეს დახმარება პროცესების ეფექტურად წარმართვის მიზნით. მათ შორის, ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა ქ. თბილისის მერს შესთავაზა წინადადება, მისცეს მერიამ მაგალითი სხვა სამსახურებს და გამოაქვეყნოს კონკრეტული სია, რაშიც მას სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა დასჭირდება. მისი თქმით, აღნიშნული ხელს შეუწყობს საჯარო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. თავის მხრივ თბილისის მერმა გამოხატა მზადყოფნა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.